სოფი მერსერონი (Sophie Merceron)

რვაფეხები

ფრანგულიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ

იმიტომ ვტირი, რომ ჩემი ჩრდილის დაბრუნებას ვერ ვახერხებ.

ჯ.მ. ბერი, „პიტერ პენი“

მოქმედი პირები

სიმონი

ულისი

ანა

პირველი ნაწილი

1.

გასახდელი. სიმონს საცურაო ტრუსი აცვია. ფეხშიშველია. თავზე საცურაო ქუდი ახურავს. მყვინთავის სათვალე შუბლზე დაუმაგრებია. ტუალეტის კარზე აკაკუნებს.

სიმონი: კარი გააღე, ულის!

ულისი: არა.

სიმონი: კარი გააღე, ულის. ნუ სულელობ, კარი გააღე.

ულისი: არა, არა და არა.

სიმონი: მთელი ღამე აქ ვერ დარჩები, ულის. ამ ტუალეტში. გამოდი რა.

სიჩუმე.

ულის! ულის ულის ულის ულის ულის ულის!

სიჩუმე.

მიდი რა. სენდვიჩს მოგცემ, ოღონდ კარი გააღე.

ულისი კარს აღებს. გამოდის. საცურაო ტრუსი აცვია. თავზე საცურაო ქუდი ახურავს. თვალებს მყვინთავის სათვალე უფარავს.

ულისი: არ მინდა შენი სენდვიჩი.

სიმონი: მართლა? დარწმუნებული ხარ?

ულისი: არ მინდა შენი სენდვიჩი.

სიმონი: კარგი, როგორც გინდა...

ულისი გრძელ სკამზე ჯდება.

ცოტა ხანში სიმონი გვერდით მიუჯდება.

სიმონი: კარგად ხარ?

ულისი: არა.

სიმონი: კარგი რა, ულის, დაიკიდე ეს ამბავი... გოგოებიც ხო იცი, რანაირები არიან...

ულისი: ჟანა დ'არკი ხარო. ჟანა დ'არკიო! ფეხს აღარ მოვადგამ აქ, ამ ბინძურ აუზზე. აღარასოდეს.

სიმონი: კარგი. როგორც გინდა...

სიჩუმე.

ულისი: გადავხტებოდი. არა, მართლა გადავხტებოდი. არც ისე მაღლა ვიდექი. მაგრამ აი, ის ტიპი... რატომ დამყვიროდა? იდგა იმ თავისი ტრუსიკით... დაკუნთული... და დამყვიროდა. ცეცხლი ხო არ გვეკიდა? მხოლოდ ერთი წუთი. კიდევ ერთი წუთი მინდოდა. ცეცხლიც არ გვეკიდა. თან სამაშველო ბაგირიც რა შორს დადო. ძალიან კარგად იცოდა, რომ შორს იდო. მაინც დამყვიროდა. და ეს გოგოებიც... ქალთევზებივით რომ ირწეოდნენ წყალში, რეზინის სათამაშოებით. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია. თვალწინ ყველაფერი ამერია. ის ხმაც ისევ შემომესმა... არ მინდოდა. კარგად იცი, როგორ ვცდილობ. როგორ ვცდილობ, რომ თავიდან ამომივარდეს. მაგრამ მაინც დამიბრუნდა. მისი ბრალიცაა. იმ დაკუნთულის... ქუდით რომ იდგა. და ტრუსიკით.

პაუზა.

სიმონი: კარგად ხარ, ულის? ის ხმა ისევ... გესმის?

ულისი: არა, გაქრა. მხოლოდ იქ მესმოდა, ცოტა ხნის წინ, გადმოსახტომზე.

სიმონი: კარგი.

ულისი მყვინთავის სათვალეს იხსნის. სიმონი სენდვიჩს უნაწილებს. ჭამენ.

ულისი: იცი რა, სიმონ, მართლა ჩავყვინთავდი. ცოტაც და გადავხტებოდი. მისი ბრალიცაა...

სიმონი: ვიცი, ულის.

ულისი: იმ თავისი იდიოტური ტრუსიკით და რეზინის ფლოსტებით, და იმ ქუდით, რომელიც აშკარად ტვინზე უჭერს... გაბოროტდებოდა, აბა რა. მეტი ძალა რომ მქონოდა, წყალში მოვისროდი. ყველაფრიანად.

სიმონი: ვიცი, ულის.

ხანგრძლივი პაუზა.

2.

თითქოს სიზმარში ხდება. ულისი ძალიან მაღლიდან ხტება და სხვადასხვაგვარ მოძრაობებს ასრულებს ჰაერში. ბრუნავს და ბრუნავს. თითქოს ფრთები ჰქონდეს. მერე ლურჯ წყალში ეშვება.

3.

გასახდელი. ულისს სპორტული ტანსაცმელი აცვია. ტუალეტის კარზე აკაკუნებს. კარის იქით სიმონი ახველებს, ახველებს და უცნაურად სუნთქავს. ულისს ხელში პატარა აპარატი უჭირავს. ერთგვარი ნიღაბია, რომელიც ტუბზეა მიმაგრებული.

ულისი: კარი გააღე, სიმონ!

სიმონი: არა.

სიმონი ხმაურიანად სუნთქავს.

ულისი: კარი გააღე, სიმონ. ნუ სულელობ, კარი გააღე.

სიმონი: არა და **არა.**

სიმონი ახველებს, ახველებს, ხმაურიანად სუნთქავს.

ულისი: მიდი რა, სიმონ. შენი აპარატი. ამ შენი აპარატით უნდა ისუნთქო. თორემ ისევ გული წაგივა.

სიმონი: კარი. კარის ქვეშ.

ულისი აპარატს კარის ქვეშ დებს.

პაუზა.

სიმონი გამოდის. მასაც სპორტული ტანსაცმელი აცვია.

ულისი: კარგად ხარ, სიმონ?

სიმონი: კარგად ვარ.

სიმონი გრძელ სკამზე ჯდება. ულისი გვერდით მიუჯდება.

ულისი: ლამის ფილტვები დაგისკდა. ახლაც.

სიმონი: როგორ მძულს. სირბილის დროს ბარიერების გადალახვა - მძულს და რა ვქნა. გადახტი, გაიქეცი, გადახტი, ისევ გაიქეცი... და ის კიდევ, თავისი სასტვენით რომ დგას. და დაგვყვირის, უფრო მაღლა რომ ავხტეთ და უფრო სწრაფად ვირბინოთ. როგორი გაწითლებულია იმ სასტვენში ბერვისგან. ბარიერები რომ გადავლახოთ. ცხენები ხო არა ვართ!

სიმონი თავისი პატარა აპარატით სუნთქავს.

ულისი: ცოტაც და შენსას მიაღწევდი, სიმონ. იმ კრეტინ კევინს ხელი რომ არ ეკრა, ყველაფერი გამოგივიდოდა, სიმონ.

სიმონი: აღარ დავბრუნდები იქ. აღარასოდეს. მირჩევნია, აქ დავრჩე, ამ გასახდელში, ფეხების სუნად რომ ყარს.

ულისი: მაშ, მეც აქ დავრჩები. შენთან.

სიმონი თავისი პატარა აპარატით სუნთქავს.

სიმონი: იცი რა, ულის, უფრო დიდი და ძლიერი რომ ვიქნები, ეს აპარატი აღარ დამჭირდება. აი, ასე დავაღებ პირს *(პირს ფართოდ აღებს).* და ქარს გადავყლაპავ. ექიმმა თქვა. ყელში მთელი ცხოვრება კი არ წამიჭერს. გავიზრდები და ყველაფერი უკეთესად იქნება. ასე თქვა, ციკლის ამბავია, გაივლისო.

ულისი: ჰო, მაგრამ სანამ ეგ დრო მოვა, აქ დავრჩები. შენთან.

4.

თითქოს სიზმარში ხდება. სიმონი ცხენზეა ამხედრებული. ცხენი მსუბუქად მინავარდობს. სიმონს ქარი თმას უფრიალებს. ველურივით იცინის.

5.

გასახდელი. სიმონი და ულისი, საცურაო ტრუსებსა და ქუდებში, გრძელ სკამზე გვერდიგვერდ სხედან.

მოპირდაპირე სკამზე მოჩვენებასავით გაჩნდება გოგონა. ეს ანაა. მასაც საცურაო კოსტუმი აცვია.

როცა ანა ქუდს მოიხდის, სიმონი და ულისი აღმოაჩენენ, რომ ლურჯი თმა აქვს. სენდვიჩს ჭამს. ბიჭები გაოგნებულები შესცქერიან.

ანა: რა ხდება? რას მომჩერებიხართ? სურათის გადაღება გინდათ თუ რა?

ულისი: იცი რა... აი...

ულისი გოგონას შეჰყურებს. ველარ ლაპარაკობს.

ანა: რა რა?

ულისი გოგონას შეჰყურებს. ველარ ლაპარაკობს.

ანა *(სიმონს):* რა სჭირს შენს მეგობარს? ენა დაება?

სიმონი: იცი რა... აქ გოგოების ნახვას მიჩვეული არ არის.

ანა: მართლა?

სიმონი: ეს ხო ბიჭების გასახდელია...

ანა *(მხრებს იჩეჩს და სენდვიჩის ჭამას აგრძელებს):* და რა?

სიმონი და ულისი შეჰყურებენ, როგორ ჭამს სენდვიჩს.

ანა: სინქრონული ცურვა. არა, აღარ მინდა. მძულს, მართლა მძულს სინქრონული ცურვა.

სიმონი: რა?

ანა: გინდა, იცოდე, რატომ არა ვარ სხვა გოგოებთან ერთად წყალში და ქალთევზად არ მომაქვს თავი? იმიტომ, რომ აღარ მინდა სინქრონული ცურვა. აღარასდროს მომინდება. მართლა. როგორც ჩანს, ქალაბიჭაზე უარესი ვარ. და აი, მეც აქ ვარ.

სიმონი: ქალა... ბიჭა... ეს რაღაა?

ანა: გოგოც არ არის და არც ბიჭია. მიხვდი? არც არაფერია. და როგორც ჩანს, მე ვარ ეგ.

სიმონი: ოჰ.

ულისს თავში ხმა უბრუნდება.

ანა: არა, არა ვარ ქალაბიჭა. მეფე ვარ. მებრძოლი ვარ. ნამდვილი მებრძოლი.

სენდვიჩის დარჩენილ ნაწილს ყლაპავს.

ანა: ანა მქვია.

სიმონი: მე სი...

ანა *(აწყვეტინებს):* ვიცი.

ულისი ლაპარაკს გაუბამს ხმას თავში. ჩურჩულებს.

ანა *(სიმონს):* რა სჭირს შენს მეგობარს?

სიმონი: თავის ძმას ელაპარაკება.

ანა: რა?

სიმონი: თავის ძმას ელაპარაკება.

ანა: აქ რომ სხვა არავინაა?

სიმონი: ეს ყველაფერი მის თავშია. ძმას ელაპარაკება. ძმას, რომელიც იყო და აღარ არის. მაგრამ ულისი მაინც აგრძელებს მასთან ლაპარაკს. თავში. მიხვდი? როცა რაღაცის ძალიან ეშინია ან რაღაც უჩვეულო ხდება, მისი ძმა, ძმის ხმა ბრუნდება. და საშინელი ხმაურით ევსება თავი. ტვინი გადაუბრუნდება ხოლმე. გესმის?

ანა *(იღიმება):* აჰ, კარგი. გასაგებია. *(პაუზა)* ამას გეუბნება და შენც გჯერა?

სიმონი: ჰო. რატომ არ უნდა მჯეროდეს?

ანა *(იღიმება):* აჰ, კარგი. გასაგებია.

სიმონი: აქაც ამიტომაა. ამ ხმას რომ მოაკეტინოს. ამას, სულ ტვინს რომ ურევს. და შენ?

ანა: მე რა?

სიმონი: შენ რატომ ხარ აქ?

ანა: არც არაფრისთვის.

სიმონი: მორჩი რა... აქ იმიტომ ვართ, რომ რაღაც ავადმყოფური გვაქვს თავში, არა? კარგად ვიცით, რომ ასეა. მე და შენ ვიცით. ჰოდა, აი, შენ რატომ ხარ აქ?

ანა არ პასუხობს.

რატომ ხარ აქ?

ანა: მეშინია.

სიმონი: რის?

ანა: ქარის.

სიმონი: რა?

ანა: ქარის მეშინია.

სიმონი: ქარის გეშინია?

ანა: ჰო, ქარის ქროლის, ქარიშხლების, ქარბორბალების, გრიგალების, ტაიფუნების... მოკლედ, ქარის რა. იმის, რომ მიწას მომწყვეტს, წამიღებს, გადამყლაპავს და გამაქრობს. ამას ლილაპსოფობია ჰქვია.

სიმონი: ლილაპსოფობია?

ანა: ჰო, ლილაპსოფობია ჰქვია.

სიმონი: ლილაპსოფობია?

ანა: ყრუ ხარ? თუ ბრიყვი?

პაუზა.

სიმონი: შენ ხო ანა გქვია. და ყელსაბამზე „ანუშკა“ რატომ გაწერია?

ანა: უკვე თავი ამატკივე შეკითხვებით.

სიმონი: ბოდიში.

პაუზა.

მაგრამ ყელსაბამზე „ანუშკა“ რატომ გაწერია?

ანა: მოლდავური სახელია.

სიმონი: მოლდავური? რატომ?

ანა: მოლდავეთში დავიბადე. მამაჩემმა ასე დამარქვა.

სიმონი: მომწონს. „ანუშკა“. ლამაზად ისმის.

ანა: ჰო, მაგრამ ახლა აქ ვცხოვრობ. და ანა მქვია. დედაჩემს „ანუშკას“ გაგონებაც არ უნდა. ყურში ცუდად ხვდება. ჰოდა, ახლა ანა მქვია.

სიმონი: და მამაშენი სად არის?

ანა: გეყოფა შეკითხვები!

სიმონი: ბოდიში. *(პაუზა).* მკვდარია?

ანა: რა?

სიმონი: მკვდარია მამაშენი?

ანა: რა თავი წამაჭამე... შემეშვი.

სიმონი: ბოდიში.

ანა ფრჩხილებს იკვნეტს.

ანა?

ანა ფრჩხილებს იკვნეტს.

მომწონს შენი თმა. შენი თმის ფერი. თითქოს მთვარეაო.

ანა ფრჩხილებს იკვნეტს და რაღაცას ჩურჩულებს - თითქოს სიმღერის სიტყვებს - თავის დასამშვიდებლად.

ფრჩხილები არ უნდა დაიკვნიტო. აპენდიციტი დაგემართება.

პაუზა. ანა ფრჩხილების კვნეტას წყვეტს.

ანა: ასეთი დავიბადე.

სიმონი: რა?

ანა: ჩემი თმა... ასეთი დავიბადე, ლურჯი თმით.

სიმონი იღიმება.

ანა: არ გჯერა?

სიმონი: როგორ არა, რატომ არ უნდა მჯეროდეს?

ანა: მოლდავეთში ამბობენ, თუ გოგო ლურჯი თმით დაიბადა, ჯადოქარი იქნებაო. იმასაც ამბობენ, ას წელში ერთი იბადებაო.

სიმონი: მაშ, გამიმართლა.

პაუზა.

ულისი ისევ იმ ხმას ელაპარაკება თავში. ანა უყურებს. ანას სიმონი უყურებს. ანა მის მზერას იჭერს. დარცხვენილი სიმონი ფეხებზე იხედება.

ანა: იცი, სიმონ, შიშს რვაფეხა აჩენს, რომელიც თავში ჩამისახლდა... ექიმმა მითხრა. ჩემი ფიქრები რვაფეხასავითაა - იზრდება, იზრდება და ბოლოს ტვინი ველარაფერს არჩევს. საცეცების გამო.

სიმონი: ძაან უცნაური კი ყოფილა შენი ექიმი.

პაუზა.

ერთხელ უზარმაზარი რვაფეხა ვნახე პლაჟზე. მოქცევის დროს გამორიყული. თორმეტი მეტრი მაინც იქნებოდა. საცეცები ძალიან დიდ მკლავებს მიუგავდა და როცა მივუახლოვდი, ვეებერთელა თვალით შემომხედა. მგონი, ტიროდა.

ანა: აზრზე არა ხარ.

სიმონი იღიმება.

სიმონი: ჰო, ზღვა არასდროს მინახავს. სინამდვილეში ტელევიზორში ვნახე ეს ყველაფერი. და იმაშიც არა ვარ დარწმუნებული, რომ თორმეტი მეტრი იქნებოდა.

პაუზა.

მოლდავეთში როგორი იყო?

ანა: კარგი.

სიმონი: როგორ კარგი?

ანა: მამაჩემთან ერთად ვცხოვრობდი. სახლი გვქონდა მდინარის პირას. უფრო სწორად, ქოხი. ცაში ლურჯი შევარდენები დაფრინავდნენ. და ღრუბლისხელა ყარყატები.

სიმონი: არც კი ვიცი, ყარყატი რანაირია. ჩვენთან მარტო ეს თავხედი მტრედები არიან. *(პაუზა).* კიდევ!

ანა: რა კიდევ?

სიმონი: კიდევ მომიყევი მოლდავეთზე რა.

პაუზა.

ანა: ჩვენი ქოხის გარშემო შავი ტიტები ხარობდა, თაფლისფერი ქათმები და ფოცხვერისხელა კატები დარბოდნენ, და კიდევ ველური ცხენები. მდინარეში კი ვამპირ კიბორჩალებსა და ოქროს თევზებს ვიჭერდით. რა კარგი იყო.

სიმონი: მერე რა მოხდა?

ანა: მერე დედაჩემი ჩამოვიდა ჩემს წასაყვანად. მასთან ერთად რომ მეცხოვრა. ახლა მეთერთმეტე სართულზე ვცხოვრობთ. და დიდი ხანია, არც მდინარე მინახავს, არც ოქროს თევზები.

ანა და სიმონი ულისს უყურებენ, რომელიც ისევ ხმას ელაპარაკება.

ანა: რამდენ ხანს ელაპარაკება ხოლმე შენი მეგობარი თავის მოჩვენებას?

სიმონი: გააჩნია. მხოლოდ ის სჭირდება, რომ სიტუაციას შეეგუოს. ულისი ცოტა მორცხვია გოგოებთან, შენ კი... ამ საცურაო კოსტუმში... ასეთი თმით... ბიჭების გასახდელში...

ანა *(იღიმება):* აჰ, კარგი, გასაგებია.

სიმონი: თან შუადღით სადილიც გამოვტოვეთ. ეს კი მგონი, არასდროს მომხდარა მის ცხოვრებაში.

თითქოს სიზმარში ხდება. ულისი და პატარა ბიჭი ვეება ხის ძირას დგანან. ულისი მას ხეზე აძრომაში ეხმარება.

7.

გასახდელში სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ულისი, სიმონი და ანა გრძელ სკამზე, გვერდიგვერდ სხედან.

ულისი: აქ არ უნდა დავრჩეთ. ჩვენც სხვებთან ერთად უნდა ვიყოთ. თორემ უჩვენოდ წავლენ.

ანა: მორჩა, მარტო ხარ?

ულისი: რა?

ანა: მორჩა? თავში აღარავინ გყავს - მარტო ხარ?

ულისი: რას ამბობ?

სიმონი *(მოულოდნელად):* არც არაფერს.

ულისი: აქ არ უნდა დავრჩეთ. თორემ უჩვენოდ წავლენ.

ანა: მერე რა?

ულისი: მერე ის, რომ იდიოტები ვეგონებით, თუ აქ გამოვიკეტებით.

ანა: მერე რა.

სიმონი: ჩემს აპარატში აღარაფერია. თუ აქ გამოვიკეტებით, მაგრა დამერხევა.

ულისი: თან მშია.

ანა: რა არის ეს, რა აპარატია?

ულისი: სასუნთქი აპარატია. ზოგჯერ ფილტვებში ჰაერი აღარ ჩასდის იმიტომ, რომ ყელში რაღაც უჭერს. მაგრამ მთელი ცხოვრება ასე არ იქნება. როგორც ჩანს, ციკლის ამბავია, გაივლის.

ანა: მართლა ციკლის ამბავია, სიმონ?

სიმონი არ პასუხობს.

ულისი: იმის მერე ასეა, რაც მამამისი წავიდა. უცებ ყელში წაუჭერს ხოლმე. და ჰაერი აღარ ჩასდის. როგორც საჭიროა. ჰოდა, ეს აპარატი სულ თან უნდა ჰქონდეს. დღე და ღამე. თორემ ვეღარ ისუნთქებს სიმონი. თორემ ნაპირზე ამოგდებული თევზივით იქნება სიმონი. თვალებგადმოკარკლული და კალმახივით პირდაფჩენილი, ხვდები?

სიმონი: არ მოკეტავ, ულის?

ულისი: შენ რა დებილი გგონივარ? გგონია, ვერ გავიგონე, ცოტა ხნის წინ ჩემს ძმაზე რომ ელაპარაკებოდი?

სიმონი: მერეა რა, თუ ველაპარაკებოდი.

ულისი: საიდუმლო საიდუმლოა, შენ კიდე პირველივე ფისუნიას მოუყევი. მაგრა გამიტყდა, ამის დედაც... მაგრა გამიტყდა.

სიმონი: რა ჩემი ბრალია, რომ თავში ვიღაც გყავს? შენ თვითონ მოკეტე რა.

ანა: კარგი, გეყოფათ... თორემ ნახავთ, რაც მოგხვდებათ ორივეს თავში. *(ულისს)* შენ კიდე ერთხელაც დამიძახებ ფისუნიას და გვერდებში მოგდებ. გასაგებია?

უცებ შუქი ქრება. მხოლოდ სუსტი განათება რჩება სათადარიგო გასასვლელთან. სიმონი, ულისი და ანა მწვანე სინათლეს შესქცერიან.

ულისი: მგონი, მართლა უჩვენოდ წავიდნენ.

ანა: არა უშავს. მაინც ვერავინ ვერაფერს შეამჩნევს.

სიმონი: მაგრამ ჩემს აპარატში თითქმის აღარაფერია. როგორ ვისუნთქო?

ულისი: მშია.

ანა ჩიპსების პაკეტს უწვდის. ულისი უყურებს, მადლიერი უღიმის, მერე პაკეტს სწრაფად ხსნის და აშკარად დამშვიდებული ახრამუნებს.

სიმონი: აჰა, მუნიციპალური აუზის გასახდელში ჩავიკეტეთ. თერთმეტი ივლისია. ცურვის გაკვეთილი რვა სექტემბრამდე არ იქნება. ყველაფერი შესანიშნავადაა.

ანა *(სიმონს):* აქ რატომ ხარ? ყელში რომ გიჭერს, იმიტომ?

სიმონი: იმიტომ, რომ რაღაც ძალა მაქვს.

ანა: მართლა? რა ძალა?

სიმონი: როცა რაღაცაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ, ზოგჯერ ზუსტად ის ხდება. მაშინაც ასე იყო, პატარა რომ ვიყავი. ერთ საღამოს მამაჩემმა ისე, ისე გამაბრაზა, რომ თვალები დავხუჭე და მთელი ძალით ვინატრე, გაქრეს-მეთქი. შორს წავიდეს და აღარასდროს დაბრუნდეს-მეთქი. და ასეც მოხდა. მაგრამ ახლა ვეღარ ვახერხებ, რომ დავაბრუნო. მთელი ძალით ვფიქრობ, მაგრამ არ გამომდის. მართლა წავიდა, აღარაფერი ვიცით იმაზე, და დედაჩემი სულ ტირის. ყველაფერი ჩემი ბრალია. ხედავ, მეც მყავს რვაფეხა თავში - თავისთვის რომ იკლაკნება...

პაუზა.

ულისი: იქნებ წავსულიყავით და გვენახა? შეიძლება ყველა არ წასულა.

ანა, ულისი და სიმონი კარს უყურებენ. არ ინძრევიან. სათადარიგო გასასვლელის სუსტი მწვანე შუქი ციმციმებს და და ქრება. სიბნელეა.

ულისი: ჩაქრა. შუქი ჩაქრა.

სიმონი: ჩემი აპარატი. ჩემი აპარატი მჭირდება.

ანა: აბა, თაგუნებო, სიბნელის ხომ არ გეშინიათ?

სიმონი: არა.

ულისი: რა თქმა უნდა, არა.

სიმონი: მაგრამ აქ მაინც ძალიან, ძალიან ბნელა.

ულისს თავში ხმა უბრუნდება.

სიმონი: ჩემი აპარატი მომაწოდე, ულის. ჩანთაშია, შენ გვერდით.

ულისი ხმას ელაპარაკება თავში.

სიმონი *(ახველებს):* ულის!

ულისი ხმას ელაპარაკება თავში.

სიმონი *(ისევ ახველებს)*: ულის!

ულისი ხმას ელაპარაკება თავში.

სიმონი სულ უფრო ძლიერად ახველებს.

ანა *(ძალიან ხმამაღლა)*: ულის!

ულისი *(ანას):* რა?

ანა: აპარატი!

ულისი *(ანას):* ჰო.

ულისი ჩანთაში იქექება. აპარატს პოულობს და სიმონს აწვდის. სიმონი ხმაურიანად სუნთქავს აპარატით. მშვიდდება.

ულისი: იქნებ მაინც წავსულიყავით და გვენახა?

ანა: არა, აქედან ფეხს არ გავადგამ. კარგად ვართ აქ. სამივე. ყოველ შემთხვევაში, უკეთესად ვიდრე იმ შერყეულების ცენტრში.

სიჩუმე.

ულისი: მშია. ისევ *(პაუზა).* გიჭამიათ უმი ლოკოკინა?

ანა: რა?

ულისი: გიჭამიათ უმი ლოკოკინა?

სიმონი: არა, სულელები კი არა ვართ.

ულისი: მე მიჭამია.

სიმონი და ანა: ჰო?

ულისი: ნიჟარიანად ვჭამე.

ანა: მართლა? და?

ულისი: და არაფერი.

ანა: ოკეი.

პაუზა.

ულისი: მგონი, ასანთი მაქვს ჩანთაში. სულ თან დამაქვს - შუქი რომ ჩაქრეს ჩვენთან ან დედაჩემი აღარ დაბრუნდეს-მეთქი... ჩემს ძმას ეშინია, როცა შუქი ქრება, მე კი არ მეშინია, ოდნავაც არა. მომწონს კიდეც - ბევრ სანთელს ვანთებ, დედას რომ გაუხარდეს, როცა სამსახურიდან დაბრუნდება. თითქოს ძველებურ ციხე-კოშკში ვიყოთ. ხვდები? მაგრამ დედაჩემი ისეთი დაღლილი ბრუნდება ხოლმე, ვერც ამჩნევს, რომ ჭერზე აღარაფერი ანთია *(ასანთს პოულობს).* აჰა, ვიპოვე! მაგრამ მხოლოდ ერთი ღერია! დიდხანს ვერ გავანათებთ.

ანა: მამაჩემი მიყვებოდა ხოლმე ერთ ამბავს ასანთზე. სურვილებსა და ასანთის ღერებზე.

სიმონი: რა ამბავს?

ანა: სამი ბავშვის ამბავია. არა, მართლა ბავშვები კი არ არიან. მაგრამ დიდებიც არ არიან. ჩვენსავით რა... სახლიდან გაიქცევიან. იმიტომ, რომ იქ თავს ძალიან ცუდად გრძნობდნენ. და ტყეში დაიკარგებიან. ბინდდება. ქარი ამოვარდება, საშინელი, უბედური ქარი. იმათ კი მარტო ერთი ასანთის ღერი აქვთ. უცებ ხმას გაიგონებენ - ისე, როგორც შენ გესმის ხოლმე, ულის... თითქოს სულია... და ეუბნება, ასანთს გაკარით, თვალები დახუჭეთ, სურვილი ჩაიფიქრეთ, ათამდე დაითვალეთ და ალს შეუბერეთო. სულმა ერთი სურვილი უნდა ამოირჩიოს - რომელიც ყველაზე მეტად მოეწონება სამიდან. სწორედ მას აასრულებს. როცა ბავშვები თვალებს გაახელენ, ერთ-ერთის სურვილი მართლა ასრულებულია.

სიმონი: და რა ჩაიფიქრეს?

ანა: ერთს უნდოდა, რომ ხშირად აღარ გაბრაზებულიყო, მეორეს უნდოდა, აღარაფრის შეშინებოდა, მესამე კი შეყვარებული იყო, ჰოდა...

ულისი: მოიცა რა... ჩვენ რა ვქნათ?

სიმონი: იქნებ ვცადოთ. სურვილები. მაინც გამომწყვდეულები ვართ და მთელი ზაფხული აქ უნდა გავატაროთ.

ანა: რას იტყვი, ულის?

ულისი: ასანთის ბოლო ღერს ამ სულელურ ამბავზე, სულებზე და ასეთებზე ვერ დავხარჯავთ.

პაუზა.

უცებ რაღაც ხდება - თითქოს მიწისძვრაა. საშინელი ხმაურია, არაამქვეყნიური ხმაური. არაადამიანური ხმები. ღმუილი, ღრიალი. თითქმის ცხოველური. ხანმოკლე და შემზარავი.

სიმონი: ეს რა იყო? რა იყო ეს?

საშინელი ხმაური და ღრიალი მეორდება. ახლოდან ისმის. ძალიან ახლოდან.

ულისი: არ არსებობს. ასეთი რაღაც არ არსებობს. შეუძლებელია.

სამივეს სუნთქვა აქვს შეკრული. გაქვავებულები არიან. თითქოს უნდათ, რომ გაქრნენ.

ულისს თავში ხმა უბრუნდება.

ანა: დაბრუნდება. ვიცი, რომ დაბრუნდება. ულის, ასანთი!

ულისი ხმას ელაპარაკება თავში.

სიმონი: ულის!

ულისი ხმას ელაპარაკება თავში.

ანა: ულის!

ულისი ძალიან შეწუხებული ჩანს - თითქოს ხმა ღრიალებდეს მის თავში.

ულისი *(ხმას - თავში)*: გეყოფა ყვირილი! ექო თავში მიგუგუნებს და ვერ ვიტანი. კარგად იცი. ვერ ვიტანი, თავში რომ ყვირი!

კიდევ ერთხელ ისმის არაამქვეყნიური ხმაური.

ანა და სიმონი *(ძალიან ხმამაღლა):* ულის!

ულისი *(ანასა და სიმონს):* რა?

ანა და სიმონი *(ძალიან ხმამაღლა):* ასანთი!

ულისი: ჰო, კარგი! ასანთი, ჰო!

ულისი ანას ასანთს აძლევს.

ანა: აბა, როგორაა - იცით, რას ჩაიფიქრებთ?

ულისი: ჰო.

სიმონი: ჰო.

ანა ასანთს გაკრავს. სამივე თვალებს ხუჭავს. ათამდე ითვლიან და უბერავენ.

8.

თითქოს სიზმარში ხდება. ანა ველური მცენარეულობით სავსე ბაღშია. წვიმაში ფეხშიშველი დადის. სახეზე ტალახი უსვია. ნიღაბივით. ტალახში ხტება და უხარია. გიჟივით უხარია. ველურივით ყვირის.

მეორე ნაწილი

შუქი ანთია. წვიმიანი დღის შუქია. ანა, სიმონი და ულისი გრძელ სკამზე სხედან ველური მცენარეულობით სავსე ბაღში. ირგვლივ ეკალბარდებია, კასრები - ზოგი წაქცეული, ფიცრები, ტოლის ნახევები, მანქანის ჩონჩხი, ერთი-ორი ქათამიც. გასახდელისგან მხოლოდ კედლების მცირე ნაწილია დარჩენილი. აქა-იქ. ნანგრევები. თითქოს ქარიშხალმა გადაუარაო. წვიმს. სამივეს თვალები აქვს დახუჭული.

ულისი: გავახილოთ თვალები?

თვალებს გაახელენ. მიმოიხედავენ.

ანა: რა ხდება აქ? რა ხდება? ულის, შენ? შენი სურვილია ეს?

ულისი: რა თქმა უნდა, არა. გაგიჟდი? მე არ მიქნია. რა თქმა უნდა, არა. და შენ, ანა? შენ ქენი?

ანა: არა, მე არა. მე ვერ ვიზამდი. სიმონ, შენ?

სიმონი არ პასუხობს.

ულისი და ანა: სიმონ?

სიმონი: იცი რა...

ულისი: რა რა?

ანა: რა რა, სიმონ? რა რა?

სიმონი *(ანას):* შენ გამოცაა. ისე ლამაზად ყვებოდი. მოლდავეთიო. ყარყატები, ქათმები, ცხენები და ვამპირებივით კიბორჩხალებიო. ისეთი კარგი იყო.

ულისი: არ არსებობს! რატომ ქენი ეს? იდიოტი ხარ?

სიმონი: რა ვიცოდი, რომ გამოვიდოდა. ობსესიური ნევროზიაო, ექიმმა მითხრა. მაგიური აზრები არ არსებობსო, მხოლოდ თავში თუ გექნებაო, ასე თქვა.

ულისი: რაღა მოლდავეთი აირჩიე? ეს გაუბედურებული მოლდავეთი. ტაიტი ვერ ჩაიფიქრე? მაგრამ შეყვარებული ხარ, არა? ანა გიყვარს!

სიმონი: მოკეტე.

ულისი: პირველივე პეპელამ აგირია გზა-კვალი... დაინახე და ხბოს თვალებით მიაშტერდი. და აი, ჩვენც ამ გადაკარგულში აღმოვჩნდით, წუმპეში ჩაყოფილი ფეხებით. შე ავადმყოფო!

სიმონი: რა? მოჩვენებებს ვინ ელაპარაკება, ჰა? ვის უფრო მაგრა აკლია, მე თუ შენ?

ანა: მოკეტეთ ორივემ! (*ულისს*) შენ კიდე ერთხელაც დამიძახებ პეპელას და მიწას შეგაჭმევ, გასაგებია?

ღრიალი. იგივე.

ულისი და სიმონი ჩუმდებიან.

ანა: ვიცოდი. დაბრუნდებოდა. ვიცოდი. ახლა აქ არის. არსად გაგვიშვებს.

სიმონი: ანა, რა არის ეს, იცი? სხვა დროსაც გაგიგონია? რა არის?

ულისი: ჩვენს თავებში არ ყოფილა ეს რაღაც? მართლა აქ არის?

სიმონი: თუ იცი, გვითხარი, ანა. იმიტომ, რომ ეს... არ არის, მართლა არ არის ნორმალური... მე კი არანორმალური რამეების გამო ყელში მიჭერს ხოლმე და ჩემს აპარატში თითქმის აღარაფერია. მაგრა დამერხევა. ანა, თქვი, გთხოვ. რა იყო ეს?

ანა: ივანი.

სიმონი: რა?

ულისი: რა ივანი? რა არის, ვინ არის ეს ივანი?

ანა: ივანია. ციკლონი.

სიმონი: რა?

ანა: ციკლონი. ურჩხულივით ციკლონი.

ულისი: რას ამბობ, ანა? რა უაზრობას. გვეკაიფები თუ რა?

სიმონი: მოკეტე, ულის. აცალე ლაპარაკი. *(ანას)* ნუ გეშინია, ანა. თავში რომ რვაფეხა გყავს, ისე ვერ გაიზრდება, რომ მთელი ადგილი დაიკავოს. თავში რომ რვაფეხა გყავს, ეგ წყნარად იქნება და ლაპარაკს დაგაცლის. იმიტომ, რომ ჩვენ აქ ვართ. ახლა აქ ვართ, შენთან. მაშ, გვითხარი.

პაუზა.

ანა: ზაფხულის პირველ დღეებში დაიწყო.

სიმონი: რა? რა დაიწყო?

ანა: მამაჩემს... ხმაური ესმოდა ხოლმე...

სიმონი: რა ხმაური?

ანა: ჭექა-ქუხილი, გრგვინვა და ღრიალი ცაში.

ზოგჯერ - რამდენიმე წუთით - ღრუბლებს მიაჩერდებოდა ხოლმე. შიშით სავსე თვალებით. თითქოს ჯოჯოხეთს ხედავსო.

ხმადაბლა მიმეორებდა:

„ხომ ხედავ ამ ათასობით ჩიტს, ანუშკა. მომღერალაა. ასე ჰქვია. ჩემსავით არიან, ანა - საფრთხეს გრძნობენ. იციან, რომ მოდის და ცდილობენ, თავს უშველონ. ჩვენ კი წასასვლელი არსად გვაქვს. წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. ივანი აქაა და ჩვენ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. მე და შენ ეშმაკს უნდა შევებრძოლოთ, ანა“.

მაგრამ ის ხმაური მხოლოდ მას ესმოდა. და იმ ჩიტებსაც მხოლოდ თვითონ ხედავდა.

უფრო და უფრო უცნაური ხდებოდა მამაჩემი. აღარ ეძინა, აღარაფერს ჭამდა და თვალებს შორის ისეთი ღრმა ნაოჭი ჰქონდა, ჭრილობა გეგონებოდა. მთელი ღამე ფეხზე იდგა, გარეთ დადიოდა, ცას შეჰყურებდა და თავისთვის ლაპარაკობდა - თითქოს ჭკუიდან გადავიდაო. ერთ დილას კი დაიყვირა:

„ცოტაც და აქ იქნება, ანუშკა. შეხედე ცას - როგორ შავდება.

აქ არის. თითქმის აქ არის. გესმის, ანა, ღრიალი? ეშმაკია ეს ღრიალი.

ივანი ჰქვია ამ ღრიალს“.

მე კი, როცა ზემოთ ავიხედე, მხოლოდ ზაფხულის ლურჯი ცა დავინახე.

მაგრამ უცებ ყველაფერი შეირყა და წყვდიადი ჩამოწვა.

მერე ციდან წამოსული დიდი წყალი დაგვატყდა თავს.

საშინელი ყვირილი გაისმა. და ივანიც გამოჩნდა.

სიმონი: ციკლონი?

ანა: ჰო, ურჩხულივით ციკლონი, რომელიც ჩვენკენ მორბოდა. მორბოდა და იზრდებოდა. უზარმაზარი მარტორქასავით. ეს ივანი იყო. მისმა ყვირილმა მიწა დახეთქა. ყველაფერი ირყეოდა. მდინარე ზღვად იქცა. წყალი ადიდდა, ადიდდა და ქარიც ისე უბერავდა... ქარმა ყველაფერი წაიღო - ქათმებიც, კატებიც, ცხენებიც... ივანმა ყველაფერი გადაყლაპა.

პაუზა.

ჩვენ წინააღმდეგობას ვუწევდით. მე და მამაჩემი მთელი ღამე წინააღმდეგობას ვუწევდით. როცა ყველა წავიდა, ჩვენ დავრჩით. იმიტომ, რომ მებრძოლები ვართ. მამაჩემი სულ ამას მეუბნებოდა. მეფეები ვართო. და ვცდილობდით, სახლი გადაგვერჩინა, რომელიც ნამდვილი სახლიც კი არ იყო - ქოხი იყო, ტოლით, მუყაოთი და ფიცრებით შეკოწიწებული. აი, ამან გააქცია დედაჩემი - ტოლმა და მუყაომ. მე კი ძალიანაც მომწონდა ეს ქოხი, რომელიც მე და მამაჩემმა ავაშენეთ. და მამაჩემი მეფე იყო, მებრძოლი. ციკლონებთან ბრძოლა შეეძლო. ისეთებთანაც, მარტორქებს რომ ჰგვანან. ჯოჯოხეთიდან მოსულ მარტორქებს.

ხანგრძლივი პაუზა.

ულისი *(სიმონს უჩურჩულებს):* კი მაგრამ, რატომღა ბრუნდება ეს ციკლოპი?

სიმონი *(ულისს უჩურჩულებს):* ციკლონი, ციკლოპი კი არა. არ თქვა, თავში რვაფეხა მყავსო - შემწვარი თევზი გიდევს და მეტი არაფერი.

ულისი (*თავისთვის*): როგორ მშია.

პაუზა.

ანა: მამაჩემს არ უნდოდა, რომ გარეთ დავრჩენილიყავი. უნდოდა, რომ ქოხში დავბრუნებულიყავი - მეუბნებოდა, დაგიცავსო. რაც არ უნდა მოხდეს, გარეთ არ გამოხვიდეო.

ასე ამბობდა: მამაშენი ვარ და რასაც გეტყვი, უნდა გაიგონო. შენი გადარჩენა მე მევალებაო.

მაგრამ მეც ხომ მებრძოლი ვარ. მებრძოლები კი მუყაოს ქოხებში არ სხედან და არ ელიან, ციკლონი როდის გადაივლის.

ჰოდა, კარი დამიკეტა.

მითხრა: აქ დარჩები, მალე დავბრუნდებიო.

და არ დაბრუნდა.

ივანმა წაიყვანა.

თავისი ვეებერთელა პირით. ბინძური ურჩხული. მაგან გადაყლაპა მამაჩემი.

და თითქოს არ ეყოო, მთელი სამყარო გადაყლაპა.

პაუზა.

ულისი: ჩვენთან რატომღა დაბრუნდა ეს ციკლონი?

ანა: იმიტომ, რომ ჩვენღა დავრჩით.

ულისი: რა?

ანა: ჩვენღა დავრჩით.

ხანგრძლივი პაუზა.

სიმონი: მართლა წვიმს აქ.

ულისი: ცეცხლი უნდა დაგვენთო. მაგრამ ასანთი აღარ გვაქვს თქვენი სიულელეების გამო.

სამივენი სპორტული ზედატანების ქუდებს წამოიფარებენ.

2.

თითქოს სიზმარში ხდება. პატარა, ლურჯთმიანი გოგონა და მამამისი სუფრას უსხედან და გველთევზებს ჭამენ. ორივე ხელით ჭამენ და ხარხარებენ. ისე ხარხარებენ, თითქოს დევები იყვნენ.

3.

ანა ლითონის მაღალ კასრთან დგას. კასრში ცეცხლი ანთია. ანა ცეცხლზე რკინის ჯოხს ატრიალებს, რომ რაღაც შეწვას, რაც გველებს წააგავს. სიმონი მოშორებით ჩამომჯდარა. თავი მუხლებში ჩაურგავს. მძინარე გეგონება.

ულისს თავში ხმა დაუბრუნდა და გაბრაზებულია. შუბლზე ხელისგულს ირტყამს - თითქოს იმ ხმას სცემდეს.

ანა: როგორ ხარ, ულის?

ულისი არ პასუხობს.

ანა: ულის, როგორ ხარ?

ულისი ანას ისე უყურებს, თითქოს პირველად ხედავდეს.

ანა რკინის ჯოხს უწვდის, რომლის ბოლოზეც გველი კიდია.

ულისი ყოყმანობს, მერე ცეცხლს მიუახლოვდება და რკინის ჯოხს გამოართმევს.

ულისი: არა, არ მჯერა. ეს როგორ ქენი? ცეცხლი როგორ დაანთე? ჯადოქარი ხარ თუ რა?

ანა: ჯადოქრობა არაფერ შუაშია, შე სულელო. თავიც მიმუშავებს და ხელებიც. სულ ესაა.

ულისი: მეც მიმუშავებს ხელები. იცი, რა მაგარ სენდვიჩებს ვაკეთებ სერველადით...

პაუზა.

ანა: ულის, შენს ძმას რა მოუვიდა?

ულისი უყურებს. რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ პირიდან სიტყვები ვერ ამოსდის. რაღაც აკავებს ამ სიტყვებს. თუ ცრემლებს.

ულისი: ასეთი რამეები სწრაფად ვერ იწვება. რა არის?

ანა: გველთევზა.

ულისი: რა?

ანა: გველთევზა.

ულისი გველთევზას ხელით აიღებს და ზიზღით შეჰყურებს. ხელიდან ხელში გადააქვს - ვერ გადაუწყვეტია, პირისკენ წაიღოს თუ არა.

ანა წასწვდება ულისის თევზს და მაშინვე გადასანსლავს.

ულისი *(ღიმილით):* რა ველური ხარ!

უცებ სიმონი, რომელიც ისევ მიწაზე ზის, ხმაურით იწყებს სუნთქვას.

ანა: როგორ ხარ, სიმონ?

ულისი: ვაიმე, ფერი არ გადევს... ფერი არ გადევს, სიმონ. როგორ ხარ?

სიმონი ახველებს, ახველებს და უცნაურად სუნთქავს.

ულისი: ვაიმე, ცუდად არის საქმე. ძალიან ცუდად. აღარაფერია ამის აპარატში. ცარიელია აპარატი. ცუდად არის საქმე. ძალიან ცუდად.

სიმონი ხმაურიანად სუნთქავს, მუხლებზე მკლავებშემოხვეული. ხმაურიანად სუნთქავს მუხლებში თავჩარგული - თითქოს უნდა, რომ გაქრესო.

ულისი: ისუნთქე, სიმონ, ისუნთქე, გთხოვ! ცუდად არის საქმე. ძალიან ცუდად.

სიმონს სუნთქვა უფრო და უფრო უჭირს. თითქოს რაღაც უჭერდეს ყელში - ჰაერი ვეღარ ჩასდის.

ულისი: ისუნთქე, სიმონ. ისუნთქე, ამის დედაც!

ანა სიმონთან მიდის და მის თავს ხელებში მოიქცევს.

ტუჩებით ეხება ტუჩებზე. ორიოდე წამით.

სიმონი მშვიდდება. ყელში აღარაფერი უჭერს. ფილტვები ჰაერით ევსება.

სიმონი ანას ისე შეჰყურებს, თითქოს შორიდან დაბრუნდაო. ანა იღიმება.

სიმონი: აღარაფერი მიჭერს ყელში. აღარაფერი. საერთოდ. ეს შენ შეძელი, ანა, და როგორ? ჯადოქარი ხარ თუ რა?

ულისი: შენი ციკლის ამბავიც ეს ყოფილა... კარგი, დაგტოვებთ. ზღაპრებს ვერასდროს ვიტანდი.

ულისი მანქანის სახურავზე აძვრება. მანქანის ჩონჩხზე.

სიმონი: ულის!

უცებ ულისი ხელებისა და თავის ქნევას დაიწყებს, ფეხებს ერთმანეთს ურტყამს - ტალახის მოსაშორებლად. თითქოს ცეკვავსო. ბრაზის, რისხვის ცეკვას. თითქოს თავში ბრაზის, რისხვის მუსიკა ესმის და გულისცემას უჩქარებსო.

დღის შუქი ქრება. ღამდება.

4.

სიმონის ხმა - ღამეში.

სიმონი: ულისი, თავის ძმასთან ერთად, სულ ხეებზე დაძვრებოდა. ძმას აძრომაში ეხმარებოდა ხოლმე, იმიტომ, რომ იმას ბუმბულის წონა ჰქონდა. ულისი კი უფრო მძიმე იყო. და ერთ დღესაც, როცა თვითონაც უნდა ასულიყო ხეზე და მის გვერდით ჩამომჯდარიყო... მოტყდა. ტოტი მოტყდა. და მისი ძმა ბუმბულივით დაეშვა მიწაზე. ულისისთვის კი ისეა, თითქოს მისი ძმა მიწას არ შეხებია, ხვდები? თითქოს ჰაერშია გამოკიდებული. ულისი ისევ იმ ტოტზე ზის, ძმასთან ერთად. ისევ იმ ტოტზე ცხოვრობს, ძმასთან ერთად, და ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ.

მთვარე ამოდის. მანქანის ჩონჩხზე ულისი გამოჩნდება. ისევ ცეკვავს. თითქოს სულ ასე უნდა იცეკვოს. მღერის კიდეც - როგორც შეუძლია. ბრაზის სიმღერას. ხმა ძლივს ამოსდის ყელიდან. თითქოს გაველურებული ცხოველიაო. ეს ლამაზი სიმღერა არ არის. რისხვის სიმღერაა.

'The wolf is your master

The sky is all over me

I run on time'[1]

ანა მანქანის სახურავზე აძვრება და ულისის წინ დადგება.

მის სახეს ხელებში მოიქცევს.

უცებ ულისს სახე უსველდება.

ცრემლად იღვრება. ქვითინებს.

---

[1] მგელია შენი ბატონი
მე ცას შევაფარე თავი
დროზე გავიქეცი

ულისი: მინდა, რომ გაქრეს ის ხმა. თავი დამანებოს იმ საზიზღარმა. მეტი აღარ შემიძლია, მეტს ვეღარ შევძლებ, ანა. სიჩუმე მინდა. თავში სიჩუმე მინდა.

ანა ტუჩებით ეხება მის ტუჩებს.

მთვარე ქრება. ღრუბლებში უჩინარდება.

5.

თითქოს სიზმარში ხდება. ღამეა და ულისი ბიჭს ნავზე აძრომაში ეხმარება. ის ბიჭია, ხეზე რომ ძვრებოდა სხვა სიზმარში. ნავში ჩაჯდება და ჩანთას მუხლებზე დაიდებს. ულისი ნავს წყლისკენ უბიძგებს. ბიჭს ხელს დაუქნევს. ბიჭიც ხელს დაუქნევს. ერთმანეთს ემშვიდობებიან. მშვიდად იღიმებიან. ულისი, წელში გამართული, უშფოთველად დგას ნაპირზე. მერე იმის ასაღებად დაიხრება, რაც მის ფეხებთან გდია. ბუმბულია. თმაში გაირჭობს. წელში გამართული, უშფოთველად დგას ნაპირზე, თმაში არწივის ბუმბულით. თითქოს ინდიელთა ბელადი იყოს.

6.

დილაა. რაღაც შეიცვალა. რაღაც გარდაუვალი გახდა. თითქოს საფრთხე მოახლოვდა, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია.

ანა, სიმონი და ულისი ლითონის მაღალი კასრის გარშემო სხედან. შიგნით ცეცხლი ანთია. სამივენი რკინის ჯოხებს ატრიალებენ ცეცხლზე, რომ რაღაცები შეწვან, რაც საცეცებიან არსებებს ჰგავს. სამივენი მშვიდად არიან. საბრძოლველად გამზადებული მებრძოლების ძალა და სიმშვიდე აქვთ.

ულისი: ასეთი რამეები სწრაფად ვერ იწვება. რა არის?

ანა: ოქტოპუსი.

ულისი: რა?

ანა: ოქტოპუსი.

ანა ჯოხის ბოლოზე წამოცმულ არსებას მისწვდება და წამში გადასანსლავს. სიმონი და ულისიც მიბაძავენ. დიდი ხნის დამშეულებივით ნთქავენ. ან სულაც დევებივით.

ულისი: ვა, რა კარგია... მეგონა, ოკეანეში ცხოვრობდნენ ესენი.

ანა: ჰო, მაგრამ როცა ოკეანე დიდდება და ნაპირზე გადმოდის... აქედან ზღვა შორს არ არის. ეს არსებები კი გადასარჩენად რას აღარ აკეთებენ. მდინარეს მოჰყვებიან. ასობით, ათასობით. შავ წყალში ხელი უნდა ჩაყო და დაიჭერ.

ისევ ჭამენ.

სიმონი: ოქტოპუსი რვაფეხაა, არა? მხოლოდ სახელია შეცვლილი, არა?

ხმაურიანად ჭამენ. გაველურებული ბავშვებივით.

და დიდი ყლუპებით სვამენ სითხეს, რომელსაც ანა კონსერვის ქილებში ასხამს.

ულისი: პირი დამწვა. რა არის?

ანა: ხის კასრში ვიპოვე, ფიცრების ქვეშ. მამაჩემი ამ კასრს ქოხის უკან ინახავდა ხოლმე, და ცოტ-ცოტას სვამდა - მეტს გამაბედინებსო.

სვამენ. ულისი ასლოკინებს. დანარჩენები უყურებენ. სიმონი უფრო ძლიერად ასლოკინებს. დანარჩენები უყურებენ. თითქოს გამოიწვიესო, ანაც ასლოკინებს - თითქოს ცხოველმა წამოიღმუვლაო. დანარჩენები გაოგნებულები უყურებენ. სამივეს სიცილი აუტყდება. გულის წასვლამდე იცინიან.

სიმონი: მებრძოლის სადილიც ეს იყო. მებრძოლის ნამდვილი სადილი.

ულისი: ჰო, ამის მერე თუნდაც მარტორქა დამძგერებია... სადა ხარ, მოდი!

სიმონი: ჰო, მოვიდეს ერთი... ვიკინგის ძალას ვგრძნობ!

უცებ ულისი მუშტს მოიქნევს. ღრუბლები ჩამუქდება.

ულისი: მოდი! მოდი აქ! აქა ვართ. შე ბინძურო ურჩხულო! აქა ვართ, შენ წინ, და ვერაფერსაც ვერ გვიზამ. საერთოდ ვერაფერს.

სიმონი *(ურჩხულს იწვევს)*: რა გგონია - ციკლონის გვეშინია? ჰაერის ნაკადი ხარ და მეტი არაფერი. არც არაფერი.

ღრიალი.

ანა ფრჩხილებს იკვნეტს.

ანა: მოვიდა. აქ არის. სულ ახლოსაა.

ულისი: ვიცი, ანა. მესმის მისი ხმა. რაც დაღამდა, იქიდან. მაგრამ ახლა ძლიერები ვართ. გარეული მხეცები შიშს გრძნობენ. ჩვენ კი მამაცი გულები გვაქვს, ანა. და რაკი აქამდე მოვედით, უკან აღარ დავიხევთ.

სიმონი: ხო არ გეშინია, ანა? ხო არ გეშინია? შიშის უფლება არა გაქვს. შენ - არა. ჩვენში ყველაზე მამაცი ხარ. მეფე ხარ.

ანა ფრჩხილებს იკვნეტს - ისე, ისე, რომ გეგონება, თითებს დაიჭამსო.

ანა: მოვიდა. აქ არის. სულ ახლოსაა.

ულისი: და ძალიანაც კარგი, არა? თუ უნდა მოსულიყო, მოვიდეს ეს ნაგავი ციკლონი. მთელი ცხოვრება მაგას ხო არ უნდა გავურბოდეთ.

სიმონი: ახლა ჩვენ ვართ აქ, ანა. შენთან ვართ.

ულისი: მოდი აქ, შე ბინძურო მხეცო. ვდგავართ და გელოდებით. ფეხს არ მოვიცვლით.

ღრიალი. ცა შავდება.

უცებ სიმონი ბრძოლაში ჩასაბმელად გამზადებული მებრძოლივით დაიყვირებს.

ღრიალი. არაადამიანური. თითქოს რაღაცას მღერიანო. ბრაზის სიმღერას. ის სიმღერაა, ულისმა რომ ამოიჩემა წინა ღამეს. ხმა კი ივანისაა.

უცებ ანა დაიყვირებს - გამომწვევი ყვირილია. მამაცი ადამიანის ყვირილი.

ღრიალი. ცა უფრო და უფრო შავდება. ხმაური სულ უფრო ძლიერდება.

უცებ ულისი დაიყვირებს.

სიმღერა უფრო და უფრო ხმამაღლა ისმის.

სამივენი გვერდიგვერდ დგანან, ზეაღმართული მუშტებით, საბრძოლველად გამზადებულები.

ანა: აქ არის. სულ ახლოსაა. ბინძური ურჩხული! უკან ვეღარ დავიხევთ. მზად ხართ?

სიმონი და ულისი: მზად ვართ!

გამაყრუებელი ღრიალი.

ანა: მაშ, ვიწყებთ.

სამივენი ხელს ჩაკიდებენ ერთმანეთს.

ულისი: მე აპაჩი ვარ.

სიმონი: მე ვეფხვი ვარ.

ანა: მე კომეტა ვარ.

სიბნელე.